განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი ცვლილებები:

1) გაიზარდოს როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები, კერძოდ:

ა. „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 სექტემბრის N2169 (ძირი 30/04/2026 წლის N878 განკ) განკარგულებით გაზრდილი იქნას 204 430 ლარით და დაიგეგმოს სოფელ გლოლაში არსებული ხელოვნურსაფარიან სტადიონთან სკვერის მოწყობის სამუშოსათვის;

ბ. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 სექტემბრის N2170 (ძირი 29/05/2026 წლის N1137 განკ) განკარგულებით 500 000 ლარით და დაიგეგმოს სოფლებში სამთისი-ბარი-მრავალძალი არსებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის;

2) ონის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 ოქტომბრის N2359 განკარგულებით დაიგეგმოს 23326 ლარი, სოფელ ქვედში გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოებისათვის (სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობის სამუშაოდან ნარჩენი ეკონომიით).

3) შემცირდეს სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიები: სოფელ ქვედრულაზე გზის დაზიანებული საყრდენი კედლისა და ღობის აღდგენის სამუშაო 1 841 ლარით; სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 5 290 ლარით; საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია 24 170 ლარით (საზოგადოებრივი სივრცეების ხარჯი, შოვის მემორიალის მოწყობის ხარჯი და სოფელ ღარში მოსაცდელის მოწყობის ხარჯი); ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხარჯი 2 108 ლარი; შემცირდეს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების ხარჯი 8 000 ლარით; მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4000 ლარით; ამოღებული იქნას უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ხარჯი 10000 ლარით; შემცირდეს ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდია 15 000 ლარით; სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ხარჯი 10 000 ლარი.

შემცირებული ხარჯებით 80 409 ლარით გაიზარდოს:

- სოფელ გლოლაში არსებული ხელოვნურსაფარიან სტადიონთან სკვერის მოწყობის სამუშაოსათვის წილობრივი თანხა 10 760 ლარით;
- სოფლის პროგრამის (დღგ-ს ხარჯი) ადგილობრივი თანხა 13 538 ლარით;
- წარმატებული სტუდენტების სტიპენდიის თანხა 8 600 ლარით;
- ა(ა)იპ კულტურის სახლის სუბსიდია 14 196 ლარით;
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდია 5 670 ლარით;
- გაიზარდოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურება 12 000 ლარით სოფელ ჟაშქვაში კალმახელიძეების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოზე მყარი საფარით;

- შეზღუდული შესაძლებლობის პირთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის 1 312 ლარი;
- სასამართლოს გადაწყვეტილების სააღსრულებლო თანხა ინდ.მეწარმის მიმართ 14 333 ლარი.

4) გადატანილი იქნას მუხლებს შორის საკრებულოს ასიგნებებში შემდეგი ხარჯები: შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 3 210 ლარით, მივლინების ხარჯი 4 000 ლარით, ნორმატიული აქტების, საგამომცემლო-სასტამბო ხარჯი 5 000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1 200 ლარით, სულ 13 410 ლარით გაზრდილი იქნას, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 4 410 ლარით, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი 9 000 ლარით .

5) გადატანილი იქნას რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის ხარჯიდან 50 000 ლარი გზების მოვლა-შენახვის თოვლის წმენდის ხარჯისათვის.

6) ასევე გადატანილი იქნას ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, სოფ. წედისში 2026 წლის 18 აგვისტოს, კერძო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში, სარდაფში აღმოჩენილი 5 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ლეშისგან შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა 6 000 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 24 523 805 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი